ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №4

ქ. ლანჩხუთი

25.05.2026 წელი
11:30 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: სხდომის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, კომისიის წევრები: სპარტაკ კვაჭაძე, ირაკლი ცინცაძე, თენგიზ ხუხუნაიშვილი, გოჩა ჯანაშია და ტატო ურუშაძე.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია.**

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ჩახვაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ჩახვაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე-6, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის N102 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის 2026 წლის 5 მარტის N481 განკარგულებით შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტს გამოეყო 6051160 (ექვსი მილიონ ორმოცდათერთმეტი ათას ას სამოცი) ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით მიიმართება 318485 (სამას თვრამეტი ათას ოთხას ოთხმოცდახუთი) ლარი, სულ განსახორციელებელი პროექტების მთლიანი ღირებულება (მიმდინარე წელს დასაფინანსებელი) შეადგენს 6369645 (ექვსი მილიონ სამას სამოცდაცხრა ათას ექვსას ორმოცდახუთი) ლარს. კერძოდ;

- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ჩიბათის, ქალაქის და გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა გზების რეაბილიტაცია-1868350 ლარი, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსება-1774332 ლარი.

- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა გზის რეაბილიტაცია, შუხუთის და ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულებში სანიაღვრე არხების მოწყობა-2105264 ლარი, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსება-2000 000 ლარი.

- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის, ჩოჩხათის და ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა გზების რეაბილიტაცია-2105264 ლარი, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსება- 2 000 000 ლარი.

- ქალაქ ლანჩხუთში სპორტული დარბაზის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა-290767 ლარი, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსება-276228 ლარი.

მან ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 19 მარტის N580 განკარგულებით მუნიციპალიტეტს გამოეყო 2250000 (ორი მილიონ ორას ორმოცდაათი ათასი) ლარი, 2025 წლის თებერვლის თვეში განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის (საკუთრებაში რეგისტრირებული საცხოვრებელი სახლები, რომლებიც სოფლად დაინგრა ან არ ექვემდებარება აღდგენას) კომპენსაციის გაცემის მიზნით. ასევე საქართველოს მთავრობის 2026 წლის 27 მარტის N620 განკარგულებით მუნიციპალიტეტს გამოეყო 20000 (ოცი ათასი) ლარი მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით და მიიმართება რისკის-ქვეშ მყოფი ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამის დასაფინანსებლად.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ჩახვაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

მომხრე-6, წინააღმდეგი - არცერთი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარე: **გიორგი ჩახვაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №4

ქ. ლანჩხუთი 25.05.2026 წელი

2026 წლის 25 მაისს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარე : გიორგი ჩახვაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

25.05.2026 წელი
11:30 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	შვებულება	[signature]
2	ვერიკო კვირკველია	არ ესწრება	არ ესწრება
3	გიორგი ჩახვაძე	11 55	[signature]
4	სპარტაკ კვაჭაძე	11-57	[signature]
5	ტატო ურუშაძე	11 28	[signature]
6	ვლადიმერ ნანაძე	შვებულება	შვებულება ვ. [signature]
7	თენგიზ ხუხუნაიშვილი	11:58	[signature]
8	ირაკლი ცინცაძე	11 28	[signature]
9	გოჩა ჯანაშია	11 25	[signature]